პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ წარმოდეგნილი ანგარიში შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამეტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482502299**
თარიღი: **22/01/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გეგზავნებათ ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წლის III-IN კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

პატივისცემით:

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

ანგარიში

2024 წლის III - IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური არის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, შესრულებას, ანალიზს და სამსახურების საქმიანობის საბუღალტრო მომსახურებას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის-სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილებებისაგან და პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან.

სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება მერიის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით.

სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და მერიის დებულებით. მათი ფუნქციები განისაზღვრება შესამაბისი სამუშაოთა აღწერილობით. სამუშაო ფუნქციები გადანაწილებულია სამუშაო აღწერილობების მიხედვით და ფუნქციური დატვირთვით ხდება მათი ჩართულობა სახაზინო პროგრამაში.

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება;

ბ) სახაზინო განყოფილება;

გ) ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება.

სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის შეზღუდული რესურსის ფარგლებში ოპტიმალური და ეფექტიანი გამოყენების მექანიზმის შექმნა. მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესის გონივრულად და შედეგიანად წარმართვა.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სამსახურმა გარკვეული სამუშაოები განახორციელა საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესაქმნელად. რადგან მუნიციპალიტეტისათვის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, არის პოლიტიკის დოკუმენტი რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების

მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები შემდგომში ხდება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების საფუძველი. ამასთან, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადებისას მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემულია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

როგრც წესი საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში და იგი მტკიცდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მუნიციპალიტეტის ხარისხიანი და ეფექტიანი საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესამუშავებლად მნიშვნელოვანია მისი ხარჯის წინასწარ დადგენა- პროგნოზირება, სამსახურის მიერ მოხდა ამ ხარჯების დაფარვის შესაძლო გზების განსაზღვრა ანუ ბიუჯეტირება. საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ასევე უზრუნველყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შდგენა. რომელშიც საუბარია 2024-2027 წლების ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზულ მაჩვენებლებზე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს აცნობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, რომელიც დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, სამსახურის მიერ განსაზღვრული იქნა 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების საპროგნოზო გეგმა. მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების მიერ დაცული იქნა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77 მუხლის 7 პუნქტის მოთხოვნები და მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად წარდგენილი იქნა წარმომადგენლობით ორგანოში-საკრებულოში განსახილველად. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, წარდგენილი ბიუჯეტი, შენიშვნებით დაბრუნებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიაში. საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2025 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი

10 დეკემბრისათვის წარდგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ხოლო საკრებულოს მიერ მოხდა 2025 წლის ბიუჯეტის განხილვა- დამტკიცება.

ამდენად სამსახურმა უზრუნველყო 2025 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზება და პროექტის შემუშავება და წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად. ბიუჯეტის პროექტის თაობაზე მერიაში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაცია,ანალიზი და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 29 400 000 ათას ლარს, ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების შედეგად, მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ პროგრამულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით 2024 წლის ბოლოს განისაზღვრა 58 981 500 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეული იყო სახელმწიფოსაგან მისაღები თანხების ზრდით და ადგილობრივი შემოსავლების ჭარბი , გეგმის ზევით მიღებით. აღნიშნული ასახული იქნა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში.

მომზადდა საანგარიშო პერიოდში და წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მიმართვები საქართველოს მთავრობის მიერ განკარგულებებით გამოყოფილი, ჩამოსარიცხი თანხების შესახებ, შესრულებული სამუშაოებზე მიღება - ჩაბარებების შესაბამისად.

სამსახურმა უზრუნველყო მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვის პროექტების შესახებ წინადადებების შემუშავება, საჭირო ინფორმაციის დამუშავება.
ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა კვარტლებისა და თვეების მიხ ედვით;ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის შეკრება და გაანალიზება, შესაბამისი წინადადების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას ვუწევთ მიღებული ბიუჯეტის შესრულებას,

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახაზინო მუშაობის სწორ ორგანიზებას, გადახდების განხორციელების მიზნით, თანხების გადარიცხვა ხდება ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამების, ქვეპროგრამების და საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია.

ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება რეგიონალური განვითარების ფონდისა (პროექტების მიმდინარეობის შესახებ), ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის აპარატისათვის. სამსახური

უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ყოველდღიურ აღრიცხვას და შესაბამის დამუშავებას, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად ხარჯის გაწევას, საფინანსო ოპერაციების წარმოებას, მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემის მეშვეობით რეგისტრაციას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევის მიზნით ვალდებულებების, პირველადი დოკუმენტების, ინვოისებისა და მოთხოვნების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციას; მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშების მართვას, ურთიერთობებს ხაზინასთან და საბანკო დაწესებულებებთან; სამსახური კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიმდინარე და ყოველწლიური ანგარიშების შედგენასა და წარდგენას. სახელმწიფო ხაზინის ერთიან ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდების განხორციელებას. მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში
სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფდა
ა) მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვას;
ბ) საკასო და ფაქტობრივი ხარჯების აღრიცხვის წარმოებას,

გ) მუნიციპალიტეტის სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა,
მონაცემების ბუღალტრულ ანგარიშგებაში და საცნობარო მუხლებში ასახვას.

დ) საკრებულოს, მერიის სამსახურებისა და მერის წარმომადგენლების სარგებლობაში არსებული ქონების აღწერა-ინვენტარიზაციაში მონაწულეობას.

ე) მუნიციპალიტეტის სამივლინებო ხარჯების და დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების (სადეკრეტოსა და ბიულეტინის) თანხის გაანგარიშებას;
ვ) საგადასახადო დეკლარაციის შედგენას და დადგენილ ვადებში შესაბამის ორგანოში წარდგენას ყოველთვიურად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განყოფილება აგრძელებს მუშაობას შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებით. რომელიც შემუშავებულია საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი არეგულირებს ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის შედგენას სსბასს საფუძველზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

საბუღალტრო განყოფილების მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ხელფასებით, საავადმყოფო ფურცლით, მივლინებების გაანგარიშება ჩარიცხვა და დეკლარირება, სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და წარდგენა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. ბუღალტრული ანგარიშის მომზადება საბუღალტრო პროგრამა „ორისში“.საფინანსო საბიუჯეტო სამსახური სუბსიდირებას უწევს 11 სხვადასხვა პროფილის მქონე არასამეწარმეო იურდიულ პირს, 8 მუნიციპალურ

სამსახურს. ხელფასებით ანგარისსწორებას უწევს 200 -მდე საშტატო და არასაშტატო თანამშრომელს.

ასევე საბუღალტრო განყოფილების მიერ ხორციელდება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების და ამ ქონების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის დროული ასახვა ბუღალტრულ პროგრამაში.

სამსახური (ყველა განყოფილების ჩართულობით) ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ /ყოველკვარტალურ ანგარიშს და აგზავნის ქუთაისის სამხარეო ადმინისტრაციაში ხოლო ყოველი კვარტლის შსრულებას მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

განყოფილების მიერ მომზადდა და წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ფინანსთა სამინისტროში 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ II და III კვარტლის ანგარიში.

ანგარიში გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.

შესაძლებელია ითქვას რომ 2024 წლის მესამე - მეოთხე კვარტალში ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის შედგენას, ცვლილებებს, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს ანუ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპს.

გარდა აღნიშნულისა სამსახური ახორციელებს მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვების შესახებ წინადადებების შემუშავებას და შესრულებაზე ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების პროექტების შემუშავებაზე კონტროლს, მათ მიერ წარმოდგენილი სახაზინო ოპერაციების შესაბამისობის გადამოწმებას და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარდგენის ზედამხედველობას; ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლებისა და თვეების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას მიღებულ ბიუჯეტის შესრულებაზე, მიმდინარე ანგარიშების მომზადებასა და წარდგენას. ანგარიშის მომზადებაში ჩართულია საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამივე განყოფილება.

ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული, საბიუჯეტო კლასიფკაციით გათვალისწინებული, ბიუჯეტის შემოსულობების, თითოეული მუნიციპალური დაფინანსებაზე არსებული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ. აღნიშნული ანგარიში ეგზავნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერს და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას. ასევე ყველა სხვა დაინტერესებულ პირს მომართვების თანახმად.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის N2735 განკარგულების შესაბამისად, საფინანსო საბიუჯეტო სამსახური განაგრძობს მუშაობას საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის

მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე, სამუშაოების ორგანიზებას. რის საფუძველზეც სამსახური ჯილდოვდება სახელმწიფო კაპიტალური გრანტით. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სამსახური ყოველწლიურად ახდენს კაპიტალური გრანტის მოპოვებას.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს კანონის, საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხსახორციელებლად.

ასევე სამსახური აქტიურად არის ჩართული, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 2 მაისის მოწერილობის შესრულებაში, კერძოდ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად 2025 წლის იანვრის ბოლომდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარედგინოს 2024 წლის განმავლობაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ წლიური ანგარიში. გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხორციელდება ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ყველა შემოსული განცხადების შესაბამისად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია მუნიციპალიტეტის სამსახურებს შორის